ხელშეკრულება N269

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური 30 ოქტომბერი 2012 წელი

ერთის მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის დავით ლომიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯ.ს.ს“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე კუპატაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა *საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N162 და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 4 აპრილის N61 განკარგულებებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,* საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით სოფელ ზემო ოსიაურში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით *შპს „არქიტექტორის“ მიერ შედგენილი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების შესაბამისად (დანართი ხარჯთაღრიცხვა)* (CPV კოდი: 45200000; 45240000).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6 817.39 (ექვსიათას რვაასჩვიდმეტი ლარი და 39 თეთრი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **2012 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2012 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის მხრიდან 5.2. პუნქტით განსაზღვრული პირის/ების და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლ/ებ/ის ხელმოწერით.

5.2. შესრულებული სამუშაოს აქტის ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ომარ ხაჯაველიძე და მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე ონისე გელაშვილი.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ ოსიაურის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ომარ ხაჯაველიძე და მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე ონისე გელაშვილი.

5.4. შემსყიდველის მხრიდან საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე/სასაქონლო ზედნადებზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი იოსებ ბუაძე, ხოლო მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
6.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
6.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.
6.5. საგარანტიო პერიოდში, რომელიც განსაზღვრულია 5 წლით, ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
7.3. ანგარიშსწორების ადგილია: ქ. ხაშური.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
ბ) აანაზღაუროს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს შესყიდვის ობიექტების ჩამონათვალი, დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების ფარგლებში;
გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების გაფორმებამდე შეისწავლოს შესყიდვის ობიექტის აღწერა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. გამოვლენილი უზუსტობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებლის პრეტენზია არ განიხილება;
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებელი სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან

გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10 %-ის ოდენობით;
9.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისულებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ ობიექტის მიწოდების ვადის დასრულებამდე ხუთი დღით ადრე მაინც უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს/ენ 5.2. პუნქტით განსაზღვრული პირი/ები, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას უზრუნველყოფს 5.4. პუნქტით განსაზღვრული პირი, რომელსაც ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული პირი/ების მიერ წერილობით პერიოდულად წარედგინება სრული ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.
14.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ან/და პირების დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
14.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სუბკონტრაქტორები

15.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
15.2. მიმწოდებელმა მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები.
15.3. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2, მეორე სართული;
სს „ლიბერთი ბანკი“ (ხაშურის ფილიალი 435), LBRTGE22;
ა/ა GE96LB0120117335425000; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე _____ დავით ლომიძე

მიმწოდებელი:

შპს „ჯ.ს.ს“
ქ. თბილისის ვაკის რაიონში, თამარაშვილის ქ. N15ა;
სს „თიბისი ბანკის“ (მარჯანიშვილის ფილიალი), TBCBGE22;
ა/ა GE21TB1180836050100001; საიდენტიფიკაციო კოდი: N205186984.

შპს „ჯ.ს.ს“-ის დირექტორი _____ თორნიკე კუპატაძე

ოსიაური
(სოფ.ზემო ოსიაური)

შ.პ.ს. „არქიტექტორი"
ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. №16

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: **6817,39** ლარი

ლოკალური სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

სოფელ ზემო ოსიაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

შ.პ.ს. „არქიტექტორი"-ს დირექტორი: /მ. მაყიშვილი/

LTD
243889903

შეადგინა:

ქ. ხაშური
2012 წ.

<u>განმარტებითი ბარათი</u>

სოფელ ზემო ოსიაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის 22 ოქტომბრის №755 წერილის საფუძველზე

ხარჯთაღრიცვა შედგენილია ლოკალურ–რესურსული მეთოდით 1984 წლის ს.ნ.წ. თანახმად, სამშენებლო რესურსების ფასების 2012 წლის III კვარტლის დონეზე

ხარჯთაღრიცხვაში აღებულია შემდეგი დარიცხვები:

ზედნადები ხარჯები 10%

გეგმიური დაგროვება 8%

დ. ღ.გ. 18%

მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 6817,39 ლარს

<u>სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის:</u>
სახელშეკრულებო გაანგარიშება: 0,66% 38,13 ლარი

შეადგინა /მ. მაყიშვილი/

LTD
243889703
GEORGIA "ARCHITECT" LTD

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

სოფელ ზემო ოსიაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

ხარჯთაღრიცხვა თანხით: **6817,39** ლარი

№	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის ნომერი	თავების, ობიექტების, დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება /ლარი/				საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
			სამშენებლო სამუშაოები დღგ-ს ჩათვლით	სამშენებლო სამუშაოები დღგ-ს გარეშე	სახარჯთ. დოკ. შედგ. 0.66%		
1	ხარჯთ. №1	სოფელ ზემო ოსიაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	6817,39	5777,45	0,66%	38,13	
		ჯამი:	**6817,39**			**38,13**	

შ.პ.ს. „არქიტექტორი"-ს დირექტორი: მ. შაყიშვილი

შეადგინა:

სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

სოფელ ზემო ოსიაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

სახარჯთაღრიცხვო ღირებულ.: **6817,39** ლარი

№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
	მიწის სამუშაოები				
1	მე–III კატეგორიის გრუნტის დამუშავება 0,25მ3 მოცულობის ექსკავატორით	მ3	**677,70**	1,46	989,44
2	მე–III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ2	**67,77**	6,27	424,92
3	ბალიშის მოწყობა მდინარის ლამით	მ3	**203,35**	16,96	3448,82
	ჯამი:				4863,18
	ზედნადები ხარჯები 10%	%			486,32
	ჯამი:	ლარი			**5349,49**
	გეგმიური დაგროვება 8%	%			427,96
	ჯამი:	ლარი			5777,45
	დ.ღ.გ. 18%	%			1039,94
	ჯამი:	ლარი			**6817,39**

შეადგინა: /მ. მაყიშვილი/

შპს არქიტექტ LTD 243889903 შპს GEORGIA ARCHITECT LTD